სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/84

ქ. თბილისი 29 ივნისი 2026 წ.

„პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის“ სახელობის პრემიის დაწესების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორის, გიორგი მემმარიაშვილის 2026 წლის 22 ივნისის სამსახურებრივი ბარათის (774861), აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისის სხდომის ოქმის №01-05-02/10 საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საინჟინრო დარგში სამეცნიერო, შემოქმედებითი, საპროექტო და პრაქტიკული მოღვაწეობით, საქართველოს ტექნოსფეროში, ახალი საინჟინრო გადაწყვეტით, რეალური, წარმატებული შედეგის მიღწევისათვის დაწესდეს „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის“ სახელობის პრემია.

2. დამტკიცდეს „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის“ სახელობის პრემიის მინიჭების წესი და პირობები (დანართი).

3. „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის“ სახელობის პრემიის გაცემა დაიწყოს 2027 წლიდან.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დანართი

„პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის“ სახელობის პრემიის მინიჭების წესი და პირობები

1. „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის“ სახელობის პრემია (შემდეგში - პრემია) შეიძლება მიენიჭოს წარმატებული საინჟინრო გადაწყვეტის განმახორციელებელ საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში.
2. პრემია მიენიჭება საინჟინრო გადაწყვეტის განმახორციელებელ ჯგუფს, რომელიც განისაზღვრება არაუმეტეს 5 წევრისა.
3. პრემია გაიცემა ყოველი წლის დეკემბერში.
4. პრემიის მისაღებად განაცხადი კეთდება ყოველი წლის თებერვალსა და მარტში, რასაც უნდა ერთვოდეს პრემიაზე წარდგენილი პროექტი.
5. პრემიაზე წარდგენილი პროექტის/პროექტების შესწავლისთვის, აპრილის თვეში რექტორის ბრძანებით იქმნება საექპერტო ჯგუფი.
6. საექსპერტო ჯგუფი, წარმოდგენილი პროექტის/პროექტების განხილვის შემდეგ, შესაბამის დასკვნებს წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს ოქტომბერში.
7. პრემიის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, არა უგვიანეს ნოემბრის თვისა.
8. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დეკემბერში, აკადემიური საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, ლაურეატებს პრემიას გადასცემს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი.
9. პრემია მოიცავს ჯილდოს, რომელიც შედგება „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის“ სახელობის მედლისაგან და ლაურეატის სიგელისაგან, რომელზეც არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ხელმოწერა.
10. „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის“ სახელობის მედალი წარმოადგენს ლითონის დისკს, რომლის დიამეტრია 45 მმ და სისქე პერიმეტრზე - 3,7-4 მმ (სურ. 1 და სურ. 2).
11. მედალი დაფარულია ოქროთი და იდება სპეციალურ ყუთში.
12. პრემიის ლაურეატის სიგელი წარწერით „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი“, შესრულებულია A-4 ზომის ფურცელზე. ფურცლის წონა არის არანაკლები 100 გრამისა.
13. პრემია, გარდა აღნიშნული ჯილდოსი, ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს ფულად ჯილდოსაც, რომლის რაოდენობა მისი არსებობის შემთხვევაში, განისაზღვრება ყოველი წლის ოქტომბრის თვეში.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი
23.VII.1999
THE FIRST GEORGIAN SPACE OBJECT

სურ. 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პირველი ქართული
კოსმოსური ობიექტის
გენერალური კონსტრუქტორი,
აკადემიკოსი, გენერალ-მაიორი
ელგუჯა მეძმარიაშვილი
General Constructor of the First
Georgian Space Object,
Academician, Major-General
Elguja Medzmariashvili
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

სურ. 2